ხაშურის მოამბე

№10 (481) 24 მარტი, ორშაბათი, 2025 წელი

ხაშურის მუნიციპალიტეტს საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაციის სპეციალური პრიზი გადაეცა

საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაცია ახორციელებს საუკეთესო პრაქტიკის პროგრამას (Best Practice Program) რომელიც კარგი მმართველობის წარმატებული მაგალითების გამოვლენისა

და გაზიარების აღიარებული ინსტრუმენტია.

ხაშურის მუნიციპალიტეტის პროექტი ,,ხაშურის მუნიციპალიტეტის განვითარების საშუალოვადიანი(2024-2027წ.წ.) სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის (2024-2025წ.წ.) შემუშავება'' გამარჯვებული გახდა ნომინაციაში ,,ადგილობრივ დონეზე საშუალოვადიანი განვითარების დაგეგმვა; ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების დაგეგმვა და მონაწილეობითი ეკონომიკური განვითარების ინოვაციური მოდელების დანერგვა''.

საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაციის საუკეთესო პრაქტიკის ჯილდო ხაშურის მუნიციპალიტეტის მერის პირველ მოადგილეს, გიორგი პაპიაშვილს გადაეცა, რომელმაც მისასალმებელ სიტყვაში ხაზი გაუსვა სტრატეგიის შემუშავების პროცესში სხვადასხვა ინტერესთა ჯგუფების მონაწილეობის მნიშვნელობას და განსაკუთრებული მადლობა გადაუხადა მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს ნინო ლიპარტელიანს სტრატეგიის შემუშავებისა და

დამტკიცების პროცესში გაწეული ღირებული ძალისხმევისთვის. სპეციალური პრიზით დაჯილდოვდა საპროექტო განაცხადის ავტორიც - მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და საინფორმაციო განყოფილების ხელმძღვანელი ნინო სუხიაშვილი.

დღესვე, რიგით მეშვიდე ეროვნული კონფერენციის ფარგლებში, ხაშურის მუნიციპალიტეტი, დუშეთისა და დმანისის მუნიციპალიტეტებთან ერთად, შეუერთდა ,,ადგილობრივ ცხოვრებაში ქალთა და მამაკაცთა თანასწორობის შესახებ'' ევროპულ ქარტიას.

დაჯილდოების ცერემონიას ესწრებოდნენ ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ნინო ლიპარტელიანი და მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის ხელმძღვანელი ლელა მაჭარაშვილი, რომელმაც საშუალოვადიანი სტრატეგიული დოკუმენტის მომზადების პროცესში განსაკუთრებული წვლილი შეიტანა.

ადგილობრივი თვითმმართველობის ეროვნული ასოციაცია სპეციალური პრიზებით ყოველ წელს აჯილდოებს მუნიციპალიტეტებს.

წელს ჯილდოები თერთმეტ სხვადასხვა ნომინაციაში გამარჯვებულმა მუნიციპალიტეტებმა მიიღეს.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა

გასულ კვირას, ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომა გაიმართა, ნინო ლიპარტელიანის თავმჯდომარეობით.

საკრებულომ ხმათა უმრავლესობით დაამტკიცა განკარგულება „საქართველოს მთავრობის 2018 წლის 28 დეკემბრის №654 დადგენილების საფუძველზე 2025 წელს ხაშურის მუნიციპალიტეტის დასახლებებში განსახორციელებელი სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში სოციალურ ეკონომიკური პროექტების ნუსხის დამტკიცების და პროგრამის განხორციელებისათვის საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხის განაწილების შესახებ“.

საკრებულოს თავმჯდომარემ ხაზი გასუვა მოსახლეობის ფართო ჩართულობას, რაც მეტყველებს იმაზე, რომ სოფლის კრებები კარგად იყო ორგანიზებული და გამოირჩეოდა პროექტების მრავალფეროვნებით.

მერიის ინფრასტრუქტურის განვითარებისა და კეთილმოწყობის სამსახურის ხელმძღვანელმა ვეფხია ბლიაძემ აღნიშნა, რომ გარდა მთავრობის განკარგულებით გამოყოფილი სახსრებისა, თანხები, საჭიროებისამებრ, დაემატება ადგილობრივი ბიუჯეტიდანაც.

ვრცლად სხდომის მასალები იხილეთ საკრებულოს ვებგვერდზე: Khashuri.org.ge

საბა ჩილაშვილი ევროპის ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორია!

ხაშურელმა მოჭიდავემ ბერძნულ-რომაული სტილით ჭიდაობაში მიმდინარე ევროპის 23 წლამდელთა ჩემპიონატზე ბრინჯაოს მედალი მოიპოვა.

აღსანიშნავია, რომ საბა ჯერ მხოლოდ 20 წლისაა და უახლოეს მომავალში 20 წლამდელთა მსოფლიო ჩემპიონატზე იასპარეზებს.

ს ს ი პ გ ა რ ე მ ო ს ე რ ო ვ ნ უ ლ ი ს ა ა გ ე ნ ტ ო

4 მარტი 2025 წ

ბრძანება #106/ს

ხაშურის მუნიციპალიტეტში, შპს „ენ-სი ჯგუფი 2022“-ის მდ. მტკვარზე 28.4 მგვტ დადგმული სიმძლავრის ქვიშხეთი ჰესების კასკადის (ქვიშხეთი 1 და ქვიშხეთი 2 ჰესის) მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-9 მუხლის, ამავე კოდექსის I დანართის 22-ე პუნქტისა და II დანართის 3.4 და 9.13 ქვეპუნქტების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გაიცეს, ხაშურის მუნიციპალიტეტში, შპს „ენ-სი ჯგუფი 2022“-ის მდ. მტკვარზე 28.4 მგვტ

დადგმული სიმძლავრის ქვიშხეთი ჰესების კასკადის (ქვიშხეთი 1 და ქვიშხეთი 2 ჰესის)

მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე სკოპინგის დასკვნა N13;

2. შპს „ენ-სი ჯგუფი 2022“ ვალდებულია გზშ-ის ანგარიშის მომზადება უზრუნველყოს N13

სკოპინგის დასკვნის შესაბამისად;

3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „ენ-სი ჯგუფი 2022“-ს და სსიპ გარემოსდაცვითი

ინფორმაციისა და განათლების ცენტრს;

4. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „ენ-სი ჯგუფი 2022“-ის მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;

5. ბრძანების ძალაში შესვლიდან 5 დღის ვადაში, სკოპინგის დასკვნა განთავსდეს გარემოსდაცვით

საინფორმაციო პორტალზე, ასევე ხაშურის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ან/და

წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა

კოლეგიაში (ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი N64) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით

გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

04 მარტი 2025

N 106/ს

ვასილ გედევანიშვილი,
სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსი

ძირითადი საპროექტო მონაცემები:

სკოპინგის დასკვნის მიღების მიზნით, შპს „ენ-სი ჯგუფი 2022“-ს მიერ, სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში წარმოდგენილია ხაშურის მუნიციპალიტეტში, მდინარე მტკვარზე 28.4 მგვტ დადგმული სიმძლავრის ქვიშხეთი ჰესების კასკადის (ქვიშხეთი 1 და ქვიშხეთი 2 ჰესის) მშენებლობისა და ექსპლუატაციის სკოპინგის ანგარიში.

დაგეგმილი საქმიანობა ითვალისწინებს ხაშურის მუნიციპალიტეტში, სოფ. ქვიშხეთის, დამჩხრეულას, ცხრამუხას და ქ. ხაშურის მიმდებარე ტერიტორიაზე კალაპოტური ტიპის, ორსაფეხურიანი ჰესის კასკადის („ქვიშხეთი 1“ და „ქვიშხეთი 2“) მშენებლობასა და ექსპლუატაციას. სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, „ქვიშხეთი 1“ და „ქვიშხეთი 2“ ჰესების კასკადის ჯამური დადგმული სიმძლავრე იქნება - 28.4 მგვტ, საიდანაც თითოეული ჰესის დადგმული სიმძლავრეა 14.2 მგვტ. ელექტროენერგიის ჯამური გამომუშავება წლიურად შეადგენს - 109 მლნ.კვტ/სთ. „ქვიშხეთი 1“ და „ქვიშხეთი 2“ ჰესები მოიცავს სათავე ნაგებობებს, სამმალიან გამრეცხ რაბებს, თევზსავალებს, წყალმიმღებებს, ჰესის შენობებს და ნაპირდამცავ დამბებს.

სკოპინგის ანგარიშში წარმოდგენილია დაგეგმილი საქმიანობის ალტერნატიული ვარიანტების შესახებ ინფორმაცია, მათ შორის განხილულია ჰესის ალტერნატივები, ასევე მოცემულია დაგეგმილი საქმიანობის უმოქმედობის (ნულოვანი) ალტერნატივა. წარმოდგენილი ინფორმაციით, ალტერნატივების შერჩევა მოხდა გარემოსდაცვითი და ტექნიკურ-ეკონომიკური უპირატესობების გათვალისწინებით.

სკოპინგის ანგარიშის თანახმად, ქვიშხეთი ჰესების კასკადი განთავსდება მდინარე მტკვარზე. წარმოდგენილი shp ფაილების მიხედვით, საპროექტო არეალის საწყისი და ბოლო წერტილის GPS კოორდინატებია: X-385162.06; Y-4648041.35 და X-377245.60; Y-4646899.21. მონაცემთა ელექტრონული გადამოწმებით დგინდება, რომ „ქვიშხეთი 1“ ჰესის სათავე ნაგებობის განთავსების ტერიტორიიდან უახლოესი საცხოვრებელი სახლი (სოფ. დამჩხეულა)

მდებარეობს დაახლოებით 119 მ, ხოლო ქვესადგურიდან 125 მეტრში. ამასთან, უახლოესი საცხოვრებელი სახლი (ქ. ხაშური) „ქვიშხეთი 2“ ჰესის სათავე ნაგებობიდან განთავსებულია დაახლოებით 350 მ. ხოლო ჰესის განთავსების ტერიტორიიდან (შეტბორვა) - 190 მეტრში (სოფ. ცხრამუხა). „ქვიშხეთი 1“ ჰესის სათავე ნაგებობის განთავსების არეალიდან დაახლოებით 100 მეტრში განთავსებულია საკალმახე მეურნეობა. ქვიშხეთი ჰესების საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ მდებარეობს რამდენიმე სამსხვრევ-დამხარისხებელი საწარმო. „ქვიშხეთი 1“ ჰესის შეტბორვის არეალში გადის მაგისტრალური გაზსადენი, ხოლო „ქვიშხეთი 2“ ჰესის შეტბორვის არეალში ერთი სახიდე გადასასვლელი. ორივე ჰესის საპროექტო არეალის მიმდებარედ ასევე განთავსებულია ორი სახიდე გადასასვლელი.

სკოპინგის ანგარიშის თანახმად, მდ. მტკვარზე „ქვიშხეთი 1“ ჰესის სათავე კვანძის მოწყობა დაგეგმილია ზ.დ. 700-711 მ ნიშნულებს შორის მოქცეულ მონაკვეთზე (GPS კოორდინატები: X-385162.06; Y-4648041.35). „ქვიშხეთი 1“ ჰესის სათავე კვანძის შემადგენლობაში იქნება: დასაშლელი ტიპის კაშხალი (სიმაღლე 11 მ), სამმალიანი გამრეცხი რაბი (6×6 მ ზომის სიღრმული, ბორბლებიანი ფარი გათვლილი 12 მ წყლის დაწნევაზე), წყალსაცემი ჭა (სიღრმე 5 მ, სიგრძე 31 მ), თევზამრიდი და 70 საფეხურიანი თევზსავალი, ასევე 110 კვ ძაბვის ქვესადგური (GPS კოორდინატები: X-380633.66, Y-4646853.36). კაშხალთან შეგუბებული წყლის სარკის ზედაპირის ფართობი იქნება დაახლოებით 67 ჰა.

სკოპინგის ანგარიშის თანახმად, მდ. მტკვარზე „ქვიშხეთი 2“ ჰესის სათავე კვანძის მოწყობა დაგეგმილია ზ.დ. 687-698 მ ნიშნულებს შორის მოქცეულ მონაკვეთზე (GPS კოორდინატები: X - 380652.28; Y - 4646759.23). „ქვიშხეთი 2“ სათავე კვანძის შემადგენლობაში ასევე იქნება: დასაშლელი ტიპის კაშხალი (სიმაღლე 11 მ), სამმალიანი გამრეცხი რაბი (6×6 მ ზომის სიღრმული, ბორბლებიანი ფარი გათვლილი 12 მ წყლის დაწნევაზე), წყალსაცემი ჭა (სიღრმე 5 მ, სიგრძე 31 მ), თევზამრიდი და 70 საფეხურიანი თევზსავალი, ასევე 110 კვ ძაბვის ქვესადგური (GPS: X-385124.99;Y-4648116.16). კაშხალთან შეგუბებული წყლის სარკის ზედაპირის ფართობი იქნება დაახლოებით 56 ჰა.

„ქვიშხეთი 1“ და „ქვიშხეთი 2“ ჰესების მიერ აღებული წყალი მიეწოდება სააგრეგატე შენობებს, რომლებიც განთავსდება კაშხლების მიმდებარედ. მათში გათვალისწინებული იქნება 3 (ჯამურად 6) ერთეული, თითოეული 53.4 მ3/წმ წყლის ხარჯზე გათვლილი კაპლანის ტიპის ვერტიკალურღერძიანი ტურბინის დამონტაჟება. თითოეული ტურბინის სიმძლავრე შეადგენს 4.74 მგვტ-ს. საპროექტო ჰესების სააგრეგატო შენობების მიმდებარედ დაახლოებით 300 მ2 (თითოეულისთვის ცალ-ცალკე) ფართობის მქონე ტერიტორიაზე განთავსდება სატრანსფორმატორო ქვესადგურები. ტურბინებში გატარებული წყალი ჩაშვებული იქნება მდ. მტკვარში.

სკოპინგის ანგარიშის თანახმად, „ქვიშხეთი 1“ და „ქვიშხეთი 2“ ჰესების კასკადის ჰიდროელექტროსადგურის ქვედა ბიეფში გატარებული იქნება სავალდებულო ეკოლოგიური ხარჯი 8.5 მ3 /წმ-ის ოდენობით.

ელექტროენერგია, „ქვიშხეთი 1“ და „ქვიშხეთი 2“ ჰესების ქვესადგურებიდან, 110 კვ ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზის საშუალებით დაკავშირებული იქნება მტკვარი ჰესების პროექტის ფარგლებში დაგეგმილ „ურბნისი ჰესის“ 220/110 კვ ძაბვის შემკრებ ქვესადგურთან. სკოპინგის ანგარიშის თანახმად, საპროექტო ელექტროგადამცემი ხაზების დეტალური აღწერა მოცემული იქნება გზშ-ის ანგარიშში.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, ქვიშხეთი ჰესების კასკადის პროექტის მიზნებისათვის მასშტაბური საგზაო სამუშაოების შესრულება საჭირო არ არის. ცენტრალური საავტომობილო მაგისტრალიდან ჰესის ნაგებობებთან მისასვლელად გამოყენებული იქნება მიმდებარე სოფლების საავტომობილო და გრუნტიანი გზები. სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, სარეაბილიტაციო გზების ჯამური სიგრძე დაზუსტდება გზშ-ის ეტაპზე. წარმოდგენილი პროექტის მიხედვით, ქვიშხეთი ჰესების კასკადის პროექტით გათვალისწინებულია 2 ერთეული ხიდის მოწყობა.

საპროექტო ჰესების კასკადის სამშენებლო სამუშაოების ვადად განსაზღვრულია 36 თვე. პროექტის მიზნებისთვის სამშენებლო ბანაკის მოწყობა გათვალისწინებულია „ქვიშხეთი 1“და „ქვიშხეთი 2“ ჰესების შუა მონაკვეთში, მდინარე მტკვრის მარცხენა სანაპიროზე, სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებზე. ტერიტორიის ფართობი შეადგენს 5000 მ2-ს. სამშენებლო ბანაკის GPS კოორდინატებია: X- 380730, Y-4646852. სამშენებლო ბანაკის ტერიტორიაზე მოეწყობა სხვადასხვა დანიშნულების სასაწყობო მეურნეობები და საამქროები, კერძოდ: 50 მ3/სთ წარმადობის ბეტონის კვანძი, ცემენტის საწყობი, ბეტონის დასამზადებლად საჭირო ინერტული მასალების, 20 მ3 ტევადობის დიზელის საწვავის რეზერვუარი და მანქანა-მექანიზმების საწვავ-საპოხი მასალებით გაწყობის პუნქტი, არმატურის საწყობი და არმატურის საამქრო, ტექნიკის სადგომი და წყლის რეზერვუარი. სამშენებლო ბანაკიდან დაახლოებით 170 მეტრში მდებარეობს უახლოესი საცხოვრებელი სახლი (სოფ. რბონა) და საკალმახე მეურნეობა.

სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, სამშენებლო სამუშაოების ფარგლებში ექსკავირებული იქნება დაახლოებით 322200 მ3 მოცულობის გრუნტი, რომლის ნაწილი გამოყენებული იქნება უკუყრილებისთვის, ხოლო ნაწილი განთავსდება სანაყაროებზე. პროექტის ფარგლებში მტკვრის მარჯვენა მხარეს დაგეგმილია ორი სანაყაროს მოწყობა. სანაყარო N1 მოეწყობა „ქვიშხეთი 1“ ჰესის მიმდებარედ (მიახლოებითი GPS კოორდინატები: X-378786.31, Y- 4646248.75), ხოლო სანაყარო N2 „ქვიშხეთი 2“ ჰესის მიმდებარე ტერიტორიაზე (მიახლოებითი GPS კოორდინატები: X-384445.72 Y-4647378.08). ორივე შერჩეული ტერიტორია წარმოადგენს სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებს (სანაყარო N1 - ს/კ 69.06.66.1001 და 69.06.66.1002; სანაყარო N2 ს/კ: 69.11.60.314 და 69.11.60.313). სანაყარო N1-დან უახლოესი საცხოვრებელი სახლი წარმოდგენილია სამხრეთ- აღმოსავლეთით, სოფელ დამჩხეულა ტერიტორიაზე, დაახლოებით 310 მეტრში, ხოლო სანაყარო N2-დან სამხრეთ-დასავლეთით, სოფელ თაგვეთის ტერიტორიაზე 864 მეტრის დაშორებით. ანგარიშის თანახმად, მოსახსნელი ნიადაგის ნაყოფიერი ფენის სავარაუდო

რაოდენობა იქნება 1650 მ3. ნიადაგის ნაყოფიერი ფენის დასაწყობებისათვის სანაყაროების ტერიტორიებზე გამოყოფილი იქნება ცალკე უბნები და სამშენებლო სამუშაოების დასრულების შემდგომ ძირითადად გამოყენებული იქნება სარეკულტივაციო სამუშაოებში.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, მშენებლობის ეტაპზე სამეურნეო-ფეკალური წყლების მართვისთვის გათვალისწინებულია 20 მ3 საასენიზაციო ორმოს მოწყობა. მშენებლობის დროს სასმელ-სამეურნეო დანიშნულებით შესაძლებელია გამოყენებული იქნეს მიმდებარედ არსებული წყაროები, ხოლო ჰესის ექსპლუატაციის ეტაპზე პერსონალის სასმელი წყლით მომარაგებისათვის, ასევე აგრეგატების გაგრილების და ხანძარსაწინააღმდეგო მიზნებისთვის გათვალისწინებულია 10 მ3

რეზერვუარის მოწყობა. სამეურნეო-ფეკალური და დაბინძურებული წყლების მართვის მიზნით დაგეგმილია გამწმენდი ნაგებობის მოწყობა.

სკოპინგის ანგარიშში მოცემულია ზოგადი ინფორმაცია გარემოზე შესაძლო ზემოქმედების სახეებისა და იმ ღონისძიებების შესახებ, რომლებიც გათვალისწინებული იქნება გარემოზე მნიშვნელოვანი უარყოფითი ზემოქმედების თავიდან აცილებისათვის, შემცირებისათვის ან/და შერბილებისათვის.

საკვლევი ტერიტორიის ფარგლებში საშიში გეოდინამიკური პროცესებიდან „ქვიშხეთი 1“ და „ქვიშხეთი 2“ ჰესების ტერიტორიაზე წარმოდგენილია გვერდითი ეროზია. სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, ჰესების დეტალური პროექტირების ფაზაზე შემუშავებული იქნება საშიში გეოდინამიკური პროცესების გააქტიურების საწინააღმდეგო ღონისძიებები. ამასთან, ანგარიშში წარმოდგენილია ინფორმაცია, ქვიშხეთი ჰესების კაშხლების ზედა ბიეფში შეტბორვის ზონის გასწვრივ, პროექტით გათვალისწინებული არმირებული ბეტონის ნაპირდამცავი დამბების მოწყობის შესახებ. სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, საპროექტო ნაპირდამცავი კედლის სიგრძე „ქვიშხეთი 1“ ჰესისთვის შეადგენს ჯამურად 6279 მ-ს (მარცხენა ნაპირზე 2482 მ; მარჯვენა ნაპირზე 3797 მ-ს), ხოლო „ქვიშხეთი 2“-ის ნაპირდამცავი ნაგებობის ჯამური სიგრძე 6241 მეტრია (მარცხენა ნაპირზე 3840 მ; მარჯვენა ნაპირზე 2401 მ). ნაპირდამცავი კედლების მაქსიმალური სიმაღლე უშუალოდ ჰესის შენობასთან იქნება 14 მ (მდინარის ფსკერის გასაშუალოებული ნიშნულიდან) და თანდათან მცირდება ჰესის შენობიდან ზევით, მდინარის დინების საწინააღმდეგო მიმართულებით. შესაბამისად, გათვალისწინებულია სხვადასხვა სიმაღლის ნაპირდამცავი კედლების მოწყობა.

სკოპინგის ანგარიშის თანახმად, კამერალური შესწავლის საფუძველზე საპროექტო ზონაში მოსალოდნელია 20 სახეობის თევზის გავრცელება, რომელთა შორის არ არის წარმოდგენილი საქართველოს წითელი ნუსხით დაცული სახეობები. მშენებლობისა და ექსპლუატაციის ეტაპებზე იქთიოფაუნაზე მოსალოდნელი ზემოქმედება დაკავშირებული იქნება ჰაბიტატის ცვლილებასთან, სამიგრაციო გზების ბლოკირებასთან და სხვ. პროექტის ფარგლებში ჰესების მშენებლობისა და ექსპლუატაციის ეტაპებისთვის განსაზღვრულია შემარბილებელი ღონისძიებები, როგორიცაა: თევზამრიდის და თევზსავალის მოწყობა და მათი ეფექტური

ფუნქციონირება, ასევე მდინარეში მუდმივად დასატოვებელი ეკოლოგიური ხარჯის

გატარებაზე კონტროლი და სხვ.

სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, პროექტის ზემოქმედების ქვეშ ექცევა ევროპის ბუნების ინფორმაციული სისტემის (European Nature Information System) 8 ტიპის ჰაბიტატი: G1.1 - ჭალისა და სანაპირო ტყეები, სადაც დომინირებს მურყანი, არყი, ვერხვი ან ტირიფი, E1 - მშრალი ველები, E2 - მეზოფილური მდელოები, S38 - ზომიერი სარტყლის ნატყევარზე განვითარებული ბუჩქნარი, F9.1 - მდინარისპირა ბუჩქნარი, C3.55 - მცენარეებით მეჩხერად დასახლებული მდინარის ხრეშიანი ნაპირები, C2.2 - მუდმივი, მიქცევა-მოქცევისგან დამოუკიდებელი, სწრაფი, ტურბულენტური დინებები, H5.6 - ხრიოკი ადგილები. სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, შედარებით სენსიტიური მონაკვეთია „ქვიშხეთი 2“-ის შეტბორვის ზონის არეალი, კერძოდ მდინარის მარცხენა ნაპირი, სადაც წარმოდგენილია ჭალის ტყის ზოლი, საქართველოს წითელი ნუსხით დაცული სახეობით - თელას (Ulmus minor) პოპულაციით.

სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, „ქვიშხეთი 1“ და „ქვიშხეთი 2“ ჰესების კასკადის მონაკვეთებიდან არცერთი არ ექცევა დაცული ტერიტორიების საზღვრებში. „ქვიშხეთი 1“-ის მონაკვეთთან 1.6 კმ-ის დაშორებით მდებარეობს ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკი და ზურმუხტის ქსელის დამტკიცებული უბანი „Borjom-Kharagauli GE0000010“, ასევე ფრინველთათვის მნიშვნელოვანი ადგილი - IBA Adjara-Imereti Ridge GE015.

სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს მონაცემებით, წარმოდგენილი 1436350 კვ.მ ფართობიდან, „სახელმწიფო ტყის ფონდის საზღვრების დადგენის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 4 აგვისტოს №299 დადგენილებით დამტკიცებული სახელმწიფო ტყის ფონდის საზღვრების მიხედვით, 14712 კვ.მ წარმოადგენს სახელმწიფო ტყეს. წარმოდგენილი ინფორმაციით, პროექტის ფარგლებში დაგეგმილია განსაკუთრებული დანიშნულებით ტყით სპეციალური სარგებლობის უფლების მოპოვება.

სკოპინგის ანგარიშის თანახმად, საველე კვლევებისა და არსებული ლიტერატურული წყაროების მიხედვით, საპროექტო ზონაში და მის მიმდებარე ტერიტორიაზე, ფრინველებიდან შესაძლებელია დაფიქსირდეს საქართველოს წითელი ნუსხით დაცული შემდეგი სახეობები: ბექობის არწივი (Aquila heliaca), ორბი (Gyps fulvus), სვავი (Aegypius monachus), ფასკუნჯი (Neophron percnopterus), ქორცქვიტა (Accipiter brevipes), წითელფეხა შავარდენი (Falco vespertinus), გავაზი (Falco cherrug), მცირე კირკიტა (Falco naumanni), ველის კაკაჩა (Buteo rufinus), რუხი წერო (Grus grus), ხოლო ხელფრთიანებიდან ევროპული მაჩქათელა (Barbastella barbastellus). საველე კვლევის პერიოდში დაფიქსირდა ფასკუნჯის (Neophron percnopterus) ერთი ინდივიდი და მთის არწივი (Aquila chrysaetos). წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, წითელი ნუსხით დაცული სახეობებიდან საპროექტო არეალი ხელსაყრელ ჰაბიტატს წარმოადგენს წავისთვის (Lutra lutra).

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიის მცირე ნაწილი ხვდება კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლების ჩიკორის ეკლესიისა და ვ. ხაჩიძის საცხოვრებელი სახლის ვიზუალური დაცვის არეალებში. გზშ-ის ეტაპზე დაგეგმილია დეტალური კვლევის ჩატარება.

სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, საპროექტო არეალის მიმდებარედ, მდ. მტკვარზე შპს „ენ-სი ჯგუფი 2022“ გეგმავს 13 ჰესის მშენებლობა-ექსპლუატაციას. გარდა აღნიშნული 13 ჰიდროელექტროსადგურისა, მდ. მტკვარზე დაგეგმილია ძეგვი ჰესის, დიღომი ჰესისა და თბილისი ჰესის პროექტების განხორციელება. ამასთან, მდ. მტკვარზე დღეისათვის ექსპლუატაციაში შესულია ჩითახევჰესი, ზაჰესი, ორთაჭალჰესი და მტკვარი ჰესი. წარმოდგენილი ინფორმაციით, კუმულაციური ზემოქმედება დეტალურად იქნება შეფასებული გზშ-ის ანგარიშში.

ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით გავრცელების მიზნით სააგენტომ უზრუნველყო წარმოდგენილი დოკუმენტაციის სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრში გაგზავნა. სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრმა უზრუნველყო სკოპინგის ანგარიშისა და საჯარო განხილვების შესახებ ინფორმაციის, როგორც გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე, ასევე ხაშურის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულის შენობების საინფორმაციო დაფებზე განთავსება. საჯარო განხილვების შესახებ ინფორმაცია განთავსდა ინფორმაციის გავრცელების დამკვიდრებულ ადგილებში, ასევე სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის ვებგვერდზე და ფეისბუქ გვერდზე. ამასთან, ინფორმაცია გაეგზავნა ცენტრის გამომწერებს ელ. ფოსტის მეშვეობით, ასევე გამოქვეყნდა გაზეთში. საჯარო განხილვები გაიმართა 2025 წლის 27 და 28 იანვარს ხაშურის მუნიციპალიტეტში, სოფ. ცხრამუხას ადმინისტრაციული ერთეულის, სოფ. ქვიშხეთის კულტურის სახლისა და ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის შენობაში. საჯარო განხილვებს ესწრებოდნენ სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს, სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის, ხაშურის მუნიციპალიტეტის, შპს „ენ-სი ჯგუფი 2022“-ის, შპს „გამა კონსალტინგის“ წარმომადგენლები და ადგილობრივი მოსახლეობა. საჯარო განხილვებზე სკოპინგის ანგარიშით გათვალისწინებულ საქმიანობასთან დაკავშირებით დაფიქსირებული შენიშვნები/მოსაზრებები ეხებოდა: რბონის ხიდზე ზემოქმედებას, კერძო საკუთრებაში არსებულ ნაკვეთებზე ზემოქმედებას, წყლის დონეებზე (მათ შორის სასმელი წყლის ჭებში არსებული წყალზე) ზემოქმედებას, შეგუბების გათვალისწინებით თევზის გამრავლების შეფერხებას, ტურისტული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას, საბანაო ადგილებისგამოყოფას,პროექტისდაწყებისსავარაუდოთარიღს,კომპანიის გამოცდილებას ჰესების პროექტების განხორციელების მიმართულებით; სოციალურ-ეკონომიკურ ინვესტიციებსა და ელექტროენერგიის გადასახადის (ტარიფის) შემცირებას. საჯარო განხილვაზე დასმულ საკითხებზე განმარტებები გააკეთეს საკონსულტაციო კომპანიის შპს „გამა კონსალტინგისა და შპს „ენ-სი ჯგუფი 2022“ წარმომადგენლებმა. საჯარო განხილვაზე გამოთქმული

შენიშვნები/მოსაზრებები და შესაბამისი პასუხები/განმარტებები აისახა საჯარო განხილვის ოქმში. ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, დაგეგმილი საქმიანობის სკოპინგის ანგარიშთან დაკავშირებით სააგენტოში წერილობითი შენიშვნები/მოსაზრებები არ ყოფილა წარმოდგენილი.

სკოპინგის პროცედურის შედეგად, სააგენტოს მიერ იდენტიფიცირებულ იქნა გარემოზე და ადამიანის ჯანმრთელობაზე მოსალოდნელი ძირითადი ზემოქმედების წყაროები, სახეები და ობიექტები. ამასთან, განისაზღვრა და დადგინდა დაგეგმილი საქმიანობის გზშ-ის ანგარიშის მომზადებისათვის საჭირო კვლევების, მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის ჩამონათვალი, ასევე გზშ-ის პროცესში დეტალურად შესასწავლი ზემოქმედებების საკითხები.

რედაქციისგან: უფრო ვრცლად სკოპინგის დასკვნის გაცემის მასალები შეგიძლიათ იხილოთ მერიის ვებგვერდზე.

ხაშურში, ინტელექტუალური თამაშის „ბიგ რაუნდის“ ნახევარფინალისთვის შესარჩევი ტური გრძელდება

წელს,შეჯიბრებაში, მუნიციპალიტეტის 22 სკოლის ინტელექტუალთა გუნდი მონაწილეობდა, საიდანაც, ამ ეტაპისთვის, მხოლოდ, 15 დარჩა.

ნახევარფინალში 8 სკოლის გუნდი გააგრძელებს ასპარეზობას.

საფინალო შეხვედრა, ზღვისპირეთში გაიმართება, გამარჯვებული გუნდის წარმომადგენლები დიპლომებით და ფასიანი საჩუქრებით დაჯილდოვდებიან.

ინტელექტუალური თამაში, ხაშურის მუნიციპალიტეტში, ყოველ წელს ტარდება და მისი მხარდამჭერები არიან: ხაშურის მუნიციპალიტეტის მერია, ადგილობრივი საგანმანათლებლო რესურსცენტრი და ორგანიზაცია “ახალგაზრდები ხაშურის განვითარებისთვის.” ღონისძიების ორგანიზატორია მერიის განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახური.

შეხვედრებს, ტრადიციულად, უძღვება ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის, სპორტის განყოფილების ხელმძღვანელი ბესიკ გაჩეჩილაძე.

ტოპონიმებში გაცოცხლებული ისტორიები

(გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ხმ“ 2023წ.#42, #43 2024წ.#2,#3, #4,5,6,7,8,9,10,11,12,15,15,17,18. #36,37,38,39,40,41,42,46,47. „ხმ“ 2025წ, #1,2,3,4,5,6,7,8,9).

კორდების საჯვარე – ადგ; სალოცავი. ძველი ნაეკლესიარი სამხრეთ-დასავლეთის მხარეს.

კუდიანეის ღელე - ადგ; ღელე დასავლეთის მხარეს. ,,ლეკებს სოფელ ალში ქალები დაეჭირათ ახალციხეში გასაყიდათ. სულ 9 ქალი და 9 ბავშვი ყოფილა /ქალები ბავშვიანი ყოფილან/ ერთ-ერთ ლეკს ცხრავე ბავშვი დაეხოცა რათა ქალებს მსუბუქად ევლოთ, ქალები კი წაიყვანეს ახალციხეში. ეს ყველაფერი კუდიანების ღელეში მომხდარა“.

ლონკასისანები - ადგ; უბანი, იგივეა რაც გოგალაძეების უბანი.

მამუკასანები - ადგ; უბანი, აქ გოგალაძეები ცხოვრობენ.

მშრალი ღელე - ადგ., ღელე, სათესი

ნაშუები - ადგ; ღელე აღმოსავლეთის მხარეს. ,,წაბლოვანისკენ მიდის, პატარა ღელეა“.

ნაძრახი მიწა - ადგილი ჩრდილოეთის მხარეს. იგივეა, რაც ზავოდღელე.

ოსმანასერი - ადგ., სერი

პაპიას წყარო - ადგ; წყარო ზედა უბანში.

პირველი დასახლება - ადგილი, დასახლება სოფლის შესასვლელში.

რუსიაშვილები - ადგ; უბანი, აქ გოგალაძეები ცხოვრობენ.

სათივეები - ადგ., მინდორი დასავლეთის მხარეს.

საკირე - ადგილი დასავლეთის მხარეს.

საკირის სერი - ადგ., ტყე, სერი.

საკირისწყარო - ადგ; წყარო.

სამების ეკლესია - ადგ; სალოცავი, ეკლესია ჩრდილო-დასავლეთის მხარეს.

საფუტკრე - ადგილი.

საქოლავი - ადგილი.

საჯვარეები - ადგ; სალოცავი ჩრდილო-დასავლეთის მხარეს.

ქვედა უბანი - ადგ; უბანი.

შაფათეები - ადგ; უბანი. ,,აქ გოგალაძეები ცხოვრობდნენ“.

შაქროს წყარო - ადგ; წყარო.

შინდის მიწები - ადგილი დასავლეთის მხარეს.

შარაღელე//მშრალღელე - ადგ., სათესი.

ცედანი - ადგ; მთა.

წაქველები - უბანი, აქ გოგალაძეები ცხოვრობდნენ

სოფელი ცივწყარო

აბანოღელე - ადგ; ღელე ჩრდილოეთის მხარეს. ,,ერთვის პავლეს ახოს ღელეს. სამმილა წყაროს ზემოთ გუბეა, აქედან იღებდნენ წყალს, მოჰქონდათ სახლში და ბანაობდნენ. ქარებს უხდებოდა”.

ბასილაშვილები//ბასილაშვილების უბანი - ადგ; უბანი სამხრეთის მხარეს. ,,ხაჩიძეები ცხოვრობენ. მაგათ წინაპარს ვიღაცას ბასილი რქმევია”. ,,დიდ პაპას ბასილი რქმევია. ხაჩიძეები ცხოვრობდნენ. აქედან გადასულები არიან ოსიაურში, აძვისში”.

ბასილაშვილების წყარო - ადგ; წყარო სამხრეთის მხარეს ზედა უბანში.

ბეჟანას დუბე – ადგ; ჭაობი. ,,დუბე - დაბალი ადგილი“.

ბუშის მიწა - ადგ., სახნავი აღმოსავლეთის მხარეს.

გადაღმა უბანი - ადგ; იგივეა რაც გზირიშვილების უბანი.

გაღმა უბანი - ადგ; უბანი.

გვერდაი- ადგილი.

გზირიშვილების კაჟიანი სერები - ადგ; იგივეა რაც კაჟიანი სერები.

გზირიშვილების მიწები - ადგ., სახნვაი ჩრდილოეთის მხარეს. ,,პავლეს, სანდროს და როზას მიწებს ეძახიან. ესენი ხაჩიძეები არიან”.

გზირიშვილების უბანი - ადგ; უბანი ჩრდილოეთის მხარეს. იგივეა რაც გადაღმა უბანი. ,,ხაჩიძეები ცხოვრობენ. მაგათი წინაპარი გზირი კაცი ყოფილა”.

გზირიშვილების წყარო - ადგ; იგივეა, რაც ცივწყაროს წყალი.

გიოს ახო - ადგ., ახო ჩრდილოეთის მხარეს

გიოს ტყე - ადგ., ახო სამხრეთის მხარეს.

გირაოები//პავლეს ახო - ადგ., ნაძვნარი ჩრდილოეთის მხარეს. ,,ადრე სახნავი იყო. მიწები ჰქონდათ დაგირავებული”.

გირაოებისერი - ადგ., სერი

გლახუას ახო - ადგ., სახნავი სამხრეტ-დასავლეთის მხარეს. ,,ნაძვნარია ახლა გაშენებული, ხაჩიძე იყო”.

გორას ახო - ადგ., ახო ჩრდილო-დასავლეთის მხარეს.

გორას ტყე - ადგ., ტყე სამხრეთის მხარეს.

დაბლა ცივწყარო - ადგილი, დაბლობი, სადაც გაშენებულია ცივწყარო.

დიაკვნის ღელე - ღელე ჩრდილო-დასავლეთის მხარეს. ერთვის სურამულას. ,,დიაკვან მოუკლავთ თუ გაულახავთ ჩხუბის დროს”.

დიდვაკე//დიდვაკეები - იგივეა რაც ვაკეები.

დიდმუხა - ადგილი.

დიდ/ი/მინდორი - ადგ., საძოვარი ჩრდილო-დასავლეთის მხარეს. ,,ახლა ნაძვნარია გაშენებული”.

ვაკეები- ადგ., მინდორი, ნაძვნარი სამხრეთ-დასავლეთის მხარეს. ,,ბიჯნისის მხარესაა, დიდვაკეებს ეძახიან, ისე პტარა ვაკეებია”.

ვენახებისთავი- ადგილი ჩრდილო-აღმოსავლეთის მხარეს. ,,აქ ვენახები ჰქონდათ”.

ზედა უბანი - ადგ; იგივეა რაც ბასილაშვილების უბანი.

ზედა ყანები - ადგილი აღმოსავლეთის მხარეს.

თედაოზის ახო - ადგ., ჩრდილოეთის მხარეს.

თედაოზის ტყე - ადგ., ტყე სამხრეთის მხარეს.

თოფრას ახო - ადგ., სახნავი სამხრეთ-დასავლეთის მხარეს. ,,თოფრა გოგალაძე იყო. ზედმეტი სახელი იყო თოფრა”.

ილაროს ახო - ადგ., ახო ჩრდილო-დასავლეთის მხარეს.

ილაროს ტყე - ადგ., ტყე სამხრეთის მხარეს.

ილიკოს ახო - ადგ., ახო ჩრდილო-აღმოსავლეთის მხარეს.

კაკლარი - ადგილი აღმოსავლეთის მხარეს. ,,აქ კაკლებია“.

კაჟიანი სერი - ადგ., სერი ჩრდილოეთის მხარეს. ,,კაჟიანია და იმიტომ ეძახიან”.

კინკიური – ადგ., სათესი.

კინკიურის სერი - ადგ., სერი.

კოლას ახო - ადგ., ახო ჩრდილო-დასავლეთის მხარეს.

მაღლა ცივწყარო – ადგ; მაღლობი, სადაც გაშენებულია სოფელი. ,,ასე მოიხსენიებენ ცოცხნარელები, ოძისელები” .

მუხები - ადგილი სოფლის ცენტრში. ,,მუხებში გავიდეთო - იტყვიან.

მუხნარი- ადგილი ჩრდილოეთის მხარეს. ,,მუხის დიდი ტყეა”.

ნავენახარი - ადგ., სათესი.

ნათლისმცემელი – ადგ; სალოცავი.

ნარუჯი - ადგ., ტყე, მთა, სათესი.

ნაქელები - ადგ., საძოვარი ჩრდილოეთის მხარეს. ,,დაქელილი მიწაა, ფენა, ფენაა”.

ოდილა მიწები - ადგ., სახნავი ჩრდილოეთის მხარეს. ,,გზირიშვილების მიწების ჩრდილოეთითაა”.

ორღელეები – ადგილი, სადაც ორი ღელე ერთდება.

პავლეს ახოს ხევი- ადგ., ხევი ჩრდილოეთის მხარეს. ,,იგი იწყება სამმილა წყაროდან. შემდეგ არის გირაოები, ანუ პავლეს ახო. გირაოებს მაღლა ცივწყაროელები ეძახიან, ჩვენ – დაბლა ცივწყაროელები კი პავლეს ახოს”.

პაპუნეები - ადგ; უბანი დასავლეთის მხარეს. ,,პაპუნა რქმევია დიდ პაპას და ამიტომ დაერქვა უბანს. სულ ხაჩიძეები არიან”.

რაჟდენის ტბა - ადგილი სამხრეთ-დასავლეთის მხარეს. ,,წყალი ამოდის, დაჭაობებული ადგილია და ტბას ეძახიან. რაჟდენი აბაზაძე იყო”.

სამმილა - წყარო გაღმა უბანში, ჩრდილოეთის მხარეს. ,,სამი მილით გამოდის წყალი”. ,,ტილიანა აქედან იღებს სათავეს. სამმილა წყაროა მისი სათავე. ჩაივლის ოძისს, ცოცხნარას, ქემფერს, მიემართება ლუბრუმისაკენ და ეშვება სატივისაკენ. მას უერთდება ოძისის წყარო, აბაზაძეების ისტორიული წყარო”.

საფრენე - ადგილი.

საჩხუბრის წყალი - ადგ; ღელე ჩრდილო-დასავლეთის მხარეს, ერთვის სურამულას. ,,ჩხუბი მოდიოდათ, ცედნისკენ უნდოდათ ამ წყლის გადაგდება და ვერ გადმოაგდეს”.

სხმარტლის მიწა - ადგილი.

ტაბაკლდე - ადგ., ჩრდილო-დასავლეთის მხარეს.

ტაბატაკლდე - ადგილი სამხრეთ-დასავლეთის მხარეს. ,,დიდი კლდეებია”. ,,დიდი კლდეებია და შუაში ჩამოდის წყალი, ჩანჩქერი. ჩანჩქერი ბიჯნულაზე“.

ტბა - ადგილი ნატბევარი.

ტილიანა - მდინარე, იქმნება ცივწყაროს წყაროდან.

ფარიას კლდე - ადგ., კლდე.

ფარიას სხალა - ადგ., ნაძვნარი ჩრდილო-აღმოსავლეთის მხარეს. ,,ძველად სახნავი იყო, ფარია რქმევია ერთ-ერთ ხაჩიძეს, მისი მსხალი იყო”.

ფორიას კლდე - ადგილი.

ქვედა უბანი - ადგ; იგივე რაც გზირიშვილების უბანი.

ქვედა ყანა - ადგილი აღმოსავლეთის მხარეს.

ქვედაწყაროები - ადგ., სათესი.

ღვალას სერი - ადგ., სათესი.

ღვალას ღელე - ადგ., საძოვარი.

ცივწყაროს წყალი//ცივწყაროს წყარო - ადგ; წყარო ჩრდილოეთის მხარეს, ქვედა უბანში. ,,გამოდის კასტრული მღვიმიდან”.

წიფლის წყარო - წყარო ჩრდილოეთის მხარეს. ,,სამმილა წყარო ზემოთაა. წიფლნარის ძირებიდან გამოდის”.

წმინდა გიორგი – ადგ; სალოცავი.

წყლიპური - ადგ; ღელე, მცირე მდინარე.

ჯარიანთწიფელა - ადგ., მთა, ტყე

ჯღანას ახო - ადგ., სახნავი სამხრეთ-დასავლეთის მხარეს. ,,ახლა ნაძვნარია. ზედმეტი სახელი რქმევია ხაჩიძეს”.

სოფელი ცოცხნარა

აკაციები - ადგ., საძოვარი ჩრდილოეთის მხარეს.

ბეჟანაბიჭები - ადგ., უბანი. აქ გოგალაძეები ცხოვრობენ.

ბუჭიას ახო - ადგ., სახნავი სამხრეთის მხარეს.

განის გზა - ადგ., გზა სამხრეთ-დასავლეთის მხარეს. ,,სურამის მიმართულებით მიმავალი გზის სამხრეთ-აღმოსავლეთის მხარეს. სურამის მიმართულებით მიმავალი გზის სამხრეთ-აღმოსავლეთის განშტოება. გზა გაიყვანეს ალბათ იმ მიზნით, რომ პირდაპირი გზა დიდ აღმართზე მიემართება და ხარ-ურემის სიარული რთულია. ეს გზა კვეთავს პელოს ტყეში გამავალ საურმე გზას და ამ ადგილსაც უწოდებენ გზაჯვარედინს”.

გვერდო - ადგ., საძოვარი დასავლეთის მხარეს. ,,სახნავ-სათესი მიწის გვერდზე ზოლად გასდევდა საძოვარი, მინდორი”.

გზაჯვარედინი - ადგ., გზა სამხრეთ-დასავლეთის მხარეს. ,,სურამისკენ მიმავალი და პელოს ტყეში გამავალი საურმე გზის გადაკვეთის ადგილი”.

გიგოსეული - ადგ., საძოვარი სამხრეთ-დასავლეთის მხარეს. ,,ადრე სახნავად გამოიყენებოდა. ოდესღაც გიგოს ეკუთვნოდა”.

გრუზაბიჭები - ადგ., უბანი. აქ გოგალაძეები ცხოვრობენ.

გრძელი მიწები - ადგ., სახნავი, საძოვარი ჩრდილო-დასავლეთის მხარეს. ,,სამი გრძელი ფორმის სახნავ-სათესი ნაკვეთი ნიადაგის ცოცვის, წარმოქმნილი ბორცვების და გრეხილების გამო სახნავ-სათესად გაუყენებელი გახდა და საძოვრად გამოიყენებო”.

თამაზ ლაცაბიძე

(გაგრძელება იქნება)

- ხელნაწერი „ვეფხისტყაოსანი“ -

ნათია ტატიაშვილი: „ვეფხისტყაოსანი“ ჩემი სულიერი საზრდოა

“ვეფხისტყაოსანი’’ ის პოემაა, რომელმაც დროს გაუძლო. როგორც გვეუბნებიან, პოემის ცალკეული ფრაგმენტები მხოლოდ XV საუკუნიდან მოგვეპოვება. ჩვენამდე მოღწეულია “ვეფხისტყაოსნის’’ 100-ზე მეტი ხელნაწერი. გადამწერთა ვინაობა, უმეტეს შემთხვევაში, უცნობია, ცნობილია მხოლოდ რამდენიმე პირი ანდერძებისა და მინაწერების მიხედვით.

თითოეულ ხელნაწერს, რა თქმა უნდა, თავისი საინტერესო თავგადასავალი აქვს. უკვდავი პოემის “ვეფხისტყაოსნის” ხელნაწერთა ნუსხას კიდევც ერთი ეგზემპლარი შეემატა. მისი გადამწერი ხაშურის მკვიდრი ნათია ტატიაშვილია.

- მე გახლავართ ნათია ტატიაშვილი, წარმოშობით მეჯვრისხევიდან, დაოჯახებული ვარ და ვცხოვრობ ხაშურში. სწორედ ხაშურში გადავწერე შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“. თუმცა, იდეა უფრო ნაადრევია. სკოლის პერიოდში ვაპირებდი, მაგრამ სამწუხაროდ ვერ განვახორციელე. მე ვარ ქართული ენისა და ლიტერატურის სერთიფიცირებული პედაგოგი, მესამე კურსზე უკვე სერთიფიცირებული ვიყავი, თუმცა, სამწუხაროდ ,ვერ დავსაქმდი და სწორედ ამან გამოიწვია ის, რომ ბევრი დრო მქონდა. რადგან სამსახური ვერ ვიშოვე რუსთ-აველმა დამასაქმა, ასე ვთქვათ.

- „ვეფხისტყაოსნის“ გადაწერა დავიწყეთ 2024 წლის 7 იანვარს და დავასრულეთ 2024 წლის 3 სექტემბერს. თავდაპირველად, დავუკავშირდი ჩემს ერთ-ერთ ლექტორს ლია კარიჭაშვილს, რუსთველოლოგს და ვთხოვე დავეკვალიანებინე, როგორ შეიძლებოდა ჩანაფიქრის განხორციელება, როგორი კალამი დამჭირდებოდა, ფურცელი როგორი შეიძლება ყოფილიყო და ა. შ. ამ ქალბატონმა დამაკავშირა მეგობარ მხატვარს დავით მაჭავარიანს. მან საჩუქრად გამომიგზავნა ფურცლები, კალმები, საშლელი, ფანქრებიც კი და დეტალურად აღმიწერა, თუ როგორ უნდა დამეხაზა ფურცელი, რამდენი ადგილი უნდა გამოგვეტოვა სტროფიდან სტროფამდე, ერთი სიტყვით, ყველა დეტალი. რადგან ფურცლები არ იყო საკმარისი, ჩემმა მეუღლემ ხაშურის სტამბიდან მოიტანა ძვირფასი ფურცლები და თვითონვე დაიწყო ხაზვა. ჩემი მეუღლე ხაზავდა, მე ვწერდი. სხვათაშორის, სახლში გვქონდა პატარა სტამბა გახსნილი 9 თვის მანძილზე.

ძალიან სასიამოვნო იყო წერის პროცესი. ერთია რომ სწავლობ



და კითხულობ, და მეორეა, როდესაც წერ. აი, თვითონ ცხოვრობ „ვეფხისტყაოსანში“, გმირებთან ერთად ცხოვრობ, განიცდი ყველაფერს... რასაც ქვია, გულის სისხლი უნდა გამოატარო წერის დროს. რთული იყო. აი, ძალიან რომ დავიღლებოდი, მაშინაც კი მიჭირდა განშორება გადაწერის პროცესთან, მაგრამ ვცდილობდი დამესვენა, რომ უფრო ლამაზი გამოსულიყო კალიგრაფია.

- ძალიან სასიამოვნო იყო წერის პროცესი ვიღლებოდი კიდეც, მაგრამ წერას ვაგრძელებდი. აი, მაგალითად, როდესაც მიხვალ იმ ადგილას, როცა ავთანდილს ტარიელი უყვება ნესტანის ამბავს, ამ დროს შეუძლებელია გაჩერდე და წერა შეწყვიტო.

- მე ძალიან ამაყი ვარ, რომ ჩემი საკუთარი ხელით გადავწერე. ეს დარჩება ისტორიას, იქნება მუდამ და ვიდრე ქართველი ადამიანის სულში, გულში და მეხსიერებაში იქნება რუსთაველი, „ვეფხისტყაოსანი“, იქნება ეს ჩვენი ძვირფასი ხელნაწერიც.

- ჩემი საუბარი ჩემს ხელნაწერზე არ ემსახურება იმას, რომ, მე რაღაცა დიდი საქმე გავაკეთე და ქება-დიდებას ველი. უბრალოდ, ეს უნდა იყოს დაინტერესება ახალგაზრდა თაობისა. „ხელრთვა“- ასე ერქვა ძველქართულად ამ საქმიანობას , ხელით წერას და მინდა რომ დაინტერესდეს ახალგაზრდა თაობა ამ ჩვენი დიდებული ტრადიციით. რომ არ ყოფილიყვნენ ის გადამწერები, დღეს ჩვენ არც საოცარი პოემა და ბევრი სხვა შედევრი აქ გვექნებოდა.

- ჩემს ნამუშევარს რომ ვუყურებ, სიმართლე გითხრათ, არ მჯერა. იმიტომ რომ ეს იყო ძალიან დიდი სიამოვნება და ძალიან დიდი პასუხისმგებლობა. მე ძალიან დიდხანს ვფიქრობდი, მომეკიდა თუ არა ხელი ამ საქმიანობისათვის. ჩემი ლექტორი, ქალბატონი მარიანა ცერცვაძე მეუბნებოდა, რომ სანამ არ დაასრულებ, არ თქვაო. იმიტომ, რომ შეიძლება ვერ დაასრულოო. მე, საერთოდ, როგორც ცოცხალი ადამიანის მიმართ, ისე ვგრძნობ პასუხისმგებლობას რუსთაველის მიმართ. ამ ადამიანმა რამდენი შრომა გასწია, რამდენი უძილო ღამე ჰქონდა ღმერთმა იცის, რამდენი ფიქრი უნდოდა იმ ყველაფერს რაც ჩვენ მოგვცა და რაც ჩვენ გვასაზრდოებს... ჩემი სულიერი საზრდოა „ვეფხისტყაოსანი“ და მე ვერ ვუღალატებდი რუსთაველს ნამდვილად.

- ძალიან დიდი სიამაყე მეუფლება როცა ვუყურებ და ძალიან მიხარია და მიყვარს.

უდაოდ, დიდ მადლიერებას იმსახურებს ქალბატონი ნათიას გარჯა და „ხელრთვა“ რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ მისეული ხელნაწერი ქალაქის ისტორიის კიდევ ერთ ფურცელს დაწერს.



ინფორმაციული ტექნოლოგიების ხაშურელი ვირტუოზები

„ხაშურის მოამბე“ აგრძელებს მცირე ბიზნესის მხარდაჭერას დადღესმკითხველსხაშურელპროფესიონალინფორმაციული ტექნოლოგიების სპეციალისტებზე მოგითხრობთ, რომლებსაც, არცთუ უსაფუძვლოდ, კომპიუტერის ექიმებადაც მოიხსენიებენ.

ოდნავ შორიდან უნდა დავიწყო. გასული საუკუნის მიწურულს, 1996 წელს, როდესაც ქვეყანაში მართლაც ქაოსი სუფევდა, იმ არასამთავრობო ორგანიზაციას, რომელშიც რედაქციის პარალელურად ვსაქმიანობდი, ინგლისის საელჩომ ორი კომპიუტერი გადმოსცა საჩუქრად. ეს ის პერიოდია, როდესაც „პენტიუმები“ ჯერ კიდევ არაა შემოსული. ფაქტობრივად, მთელს შიდა ქართლში, პირველი კომპიუტერები ჩვენ გვქონდა. ეს იყო ე.წ. „286“. დღეს, როდესაც ვიხსენებ იმ წლებს, მართლაც მეღიმება. პირველი, რაც მაშინ ვიფიქრეთ, მეც და აწგანსვენებულმა დათო წიქარიშვილმა, იყო ის, რომ რა ჯანდაბად გვინდოდა ეს მანქანები, რაში გამოგვადგებოდა, ან რა სარგებელს მოგვცემდა. თურმე სად ვიყავით! მას შემდეგ, ისეთი სისწრაფით შემოვიდა ეს სიახლე ჩვენში, რომ დღეს უკვე კომპიუტერების ეპოქაა და უბრალოდ, წარმოუდგენელიც კია ჩვენი ცხოვრება ამ ჭკვიანი მანქანების გარეშე. ახალმა ეპოქამ სრულიად ახალი პროფესიაც შვა - ინფორმაციული ტექნოლოგიების სპეციალისტი. დღეს სწორედ ამ პროფესიის ორი „ვირტუოზი“ წარმომადგენელია ჩვენი რესპონდენტი.

ნოდარ მეტრეველი, დავით ნიჟარაძე... - მართლაც იშვიათია

ჩვენს ქალაქში პიროვნება, ვინც მათ არ იცნობს. უფრო მეტიც: ამ წერილის დაწერის ინსპირაცია შემდეგმა ფაქტმა მომცა: დიდი ხანია ნოდართან და დათოსთან ვმეგობრობ და ამ რამდენიმე დღის უკან მათ ვესტუმრე. ძალიან საინტერესო მოსაუბრეები არიან და ჩვენც ხან პოლიტიკაზე, ხან სპორტზე, ან მიმდინარე ცხელ - ცხელ ამბებზე „ვმსჯელობთ“ ხოლმე. ხუთი წუთიც არ იყო გასული, რომ ბაკურიანიდან მოაკითხეს - კომპიუტერი გაგვიფუჭდა, ვერავინ გაგვიკეთა და თქვენთან მოგვასწავლეს, ეგებ გვიშველეთო. სულ რაღაც ათ წუთში ქარელელი ეწვიათ იგივე პრობლემით, ნახევარ საათში კი უკვე ხარაგაულის „დესპანს“ ესაუბრებოდნენ. და ეს იყო გამონაკლისი. ეს მათი ყოველდღიური სამუშაო პროცესია. რა თქმა უნდა, სახელი, რომელთაც მათ მეზობელ რაიონებშიც იცნობენ, უცებ არ მოსულა. შრომა და თითქმის ყოველდღიური სწავლა გახდა საჭირო, რომ დღეს ისინი უმაღლესი დონის პროფესიონალები და სპეციალისტები არიან.

ნოდარ მეტრეველი: ისეთი სისწრაფით იცვლება ტექნოლოგიები, რომ თუ ოდნავ ჩამორჩი, შეუძლებელი ხდება, დაეწიო. ახალ - ახალი თაობები გამოდის, სადაც სულ სხვა სქემები და დეტალებია. თუ სიახლეს სკრუპულუზურად არ გააანალიზებ, არ შეისწავლი, ჩათვალე, რომ ძალიან უკან ხარ და პრაქტიკულად, ვერც შეძლებ კომპიუტერს „უწამლო“....

დავით ნიჟარაძე: უბრალოდ წარმოიდგინეთ, ახალი თაობის კომპიუტერებში ასზე მეტი მიკროსქემაა, რომელთაგან თითოეულს თავისი დანიშნულება აქვს. სწორედ თითოეულის დანიშნულება

და გნებავთ, აგებულება უნდა იცოდე, რომ ხარვეზი უმოკლეს ვადაში აღმოფხვრა...

მათი ბიოგრაფიაც თითქოს ერთნაირია. სულ სხვა სპეციალობით დაამთავრეს უმაღლესი სასწავლებლები და მხოლოდ შემდეგ დაინტერესდნენ ინფორმაციული ტექნოლოგიებით. რა თქმა უნდა, ჰქონდათ ბაზაც - კარგად ერკვეოდნენ ელექტროობაში და შესანიშნავად იცოდნენ ფიზიკა.

დღეს მათ ოფისს, რომელიც ხაშურში, რუსთაველის ქუჩაზე მდებარე რვასართულიანი კორპუსის პირველ სართულზეა განთავსებული, ყოველდღიურად უამრავი ადამიანი აკითხავს.

კახა ღონღაძე (სოფელ ალის საჯარო სკოლის ყოფილი დირექტორი, დღეს ამავე სკოლის პედაგოგი): ამ რამდენიმე წლის უკან, სკოლის კომპიუტერებს შეექმნა პრობლემა, სასწრაფოდ გავიქეცი თბილისში, სადაც კი მივედი, იმხელა თანხა მოითხოვეს, სკოლის ისეთი ფასები მითხრეს მის შესაკეთებლად, რომლის გადახდასაც სკოლის ბიუჯეტი ვერ გაწვდებოდა. თანაც, ერთი თვე დასჭირდებოდა ამ საქმეს. აქ კი ორ დღში მომიგვარეს პრობლემა და თან მესამედ ფასში. ამათ როგორ დავკარგავდი და მას შემდეგ, მსგავს პრობლემებზე მუდამ აქ ვარ....

ფასები კი მართლაც საოცარია დედაქალაქთან შედარებით. მაგრამ მარტო ეს არ არის. შეღავათები - ბავშვებისათვის, შეღავათები - სტუდენტებისათვის და რაც მთავარია, სანდოობა, რომელიც მათ საქმიანობაში უმთავრესი კომპონენტია.

ისე ვერ დავამთავრებ ამ წერილს, იმ კურიოზებზეც რომ არ მოგითხროთ, რომელიც მათ საქმიანობაში მრავლადაა.

დავით ნიჟარაძე (სხვათა შორის, დავითი „ლიბერთი ბანკის“ ხაშურის ფილიალის ადმინის IT სპეციალისტიცაა და თუ ამ ბანკის კომპიუტერიზაცია სრულყოფილია, რა თქმა უნდა, მისი დამსახურებაა): ხარაგაულის სოფლიდან მოგვაკითხა პიროვნებამ, კომპიუტერში არაფრით დისკი არ ჩერდებაო. წავყევი ადგილზე და საოცრება, კეისი თავდაყირა ედო და რა დისკი გაჩერდებოდა?

ნოდარ მეტრეველი: ამ ერთი თვის უკან, კომპიუტერი მოიტანეს. წარმოიდგინეთ ჩემი გაოცება, როდესაც კომპიუტერს დავხედე: პლასტმასის ნაწილები თაბაშირ - მუყაოს ლურსმნებით იყო დამაგრებული, ფეხებად კი „ლიკანის“ ბოთლის თავსახურები ეყენა...

დიახ, მართლაც სასიამოვნოა, რომ ჩვენს ქალაქში ასეთი დონის სპეციალისტები არიან (სხვათა შორის, ხაშურში არსებული გარე ელექტრორეკლამების უმრავლესობა მათი დამონტაჟებულია), რომლებიც თავისი ნიჭით უდიდეს სამსახურს უწევენ მომხმარებლებს. ამიტომაც აფასებს მათ ყველა. მათი ხაშურისადმი სიყვარული კი ცალკე თემაა და ეს სიყვარული მათ ნათქვამ ერთ ფრაზაშიც ნათლად ჩანს, როდესაც ჩემს კითხვაზე: რა სამი აუცილებელი კომპონენტია საჭირო, რომ მათ სპეციალობაში უმაღლესი დონის პროფესიონალი გერქვას, მპასუხობენ: სრულყოფილად უნდა იცოდე ელექტროობა, ფიზიკა და ... ხაშურელი უნდა იყო! თან ამ ბოლო სიტყვებს ისეთი სერიოზულობით და ისეთი დიდი სითბოთი ამბობენ, რომ შეუძლებელია არ დაუჯერო.

მჯერა კიდეც!

გოგი გოგოლაძე

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერია და მუნიციპალიტეტის საკრებულო თანაგრძნობას უცხადებს მუნიციპალიტეტის მერს დედის

ლეილა ჩიტიაშვილის

გარდაცვალების გამო

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე“. დირექტორი და გაზეთის რედაქტორი გიორგი გოგალაძე, მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27.
E-mail Khashurismoambe2015@gmail.com მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, სახელმწიფო ხაზინა TRESGE22, სახაზინო კოდი: 749547499.
D-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში.